

ინკლუზიური ტურიზმის, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისა და უნივერსალური დიზაინის განვითარება საქართველოში



Sweden/შვედეთი

Sverige

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK
DANIDA INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ბუნების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCCE)

ITCP
ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი პარსა
INCLUSIVE TOURISM CENTER PARSA

IUDRE
INTERNATIONAL INSTITUTE OF UNIVERSAL
DESIGN RESEARCH AND EDUCATION

ინკლუზიური ტურიზმის,
მისაწვდომობის ეროვნული
სტანდარტებისა და უნივერსალური
დიზაინის განვითარება
საქართველოში

გზამკვლევი



სარჩევი

შესავალი	4
ავტორების შესახებ	5
ინკლუზიური ტურიზმი და ISO 21902:2021 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები - ინკლუზიური ტურიზმი ყველასთვის - მოთხოვნები და რეკომენდაციები, 2021-07.....	6
ინკლუზიურ ტურიზმთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში	9
მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) რეკომენდაციები ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით	13
უნივერსალური დიზაინი	15
მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები	18
მისაწვდომობის აუდიტის კვლევა	21

შესავალი

გზამკვლევი მიზნად ისახავს ინკლუზიური ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების, უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის აუდიტის კვლევის მეთოდოლოგიის მიმართულებით ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებას.

გზამკვლევი მომზადდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფრგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. გზამკვლევი არ გამოხატავს ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

ავტორების შესახებ

გზამკვლევი შემუშავებულია ინკლუზიური ტურიზმის ცენტრ „პარსას“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ:

თამარ მახარაშვილი - PhD (კანდიდატი), უნივერსალური დიზაინის, კვლევისა და განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი, ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი „პარსა“ / დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, მისაწვდომობის აუდიტის ექსპერტი/

ნანა ჩართოლანი - უნივერსალური დიზაინის, კვლევისა და განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი, ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი „პარსა“ /პროგრამების მენეჯერი, მისაწვდომობის აუდიტის ექსპერტი/

გიორგი გაბიდაური, დავით ბაზაშვილი - უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის სტანდარტებზე მომუშავე ექსპერტ-არქიტექტორები

ინკლუზიური ტურიზმი და ISO 21902:2021 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები - ინკლუზიური ტურიზმი ყველასთვის - მოთხოვნები და რეკომენდაციები, 2021-07

¹ „ინკლუზიური ტურიზმი მოიცავს სტრატეგიულ და დაგეგმილ თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებს შორის და უნივერსალური დიზაინის გარემოსა და სერვისების მიწოდების გზით უზრუნველყოფს მისაწვდომობას საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართლიან და თანასწორ გარემოსა და შესაძლებლობებს“

წყარო: ინკლუზიური ტურიზმი: ეკონომიკური შესაძლებლობები, ძირითადი კონცეფციების და ტერმინების განმარტება, ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, სიდნეის საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინსტიტუტი 2017-2.

ინკლუზიური ტურიზმი, ტურიზმის გლობალური ინდუსტრიის ეკონომიკურად ერთ-ერთი მზარდი მიმართულებაა. The Open Doors Organizations (ODO) თანახმად, 2020 წელს ჩატარებული ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოგზაურების შესახებ ეროვნული ბაზრის ახალი კვლევის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოგზაურობის ეკონომიკური გავლენა 58,7 მილიარდ დოლარს აღწევს. ახალი მონაცემები აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოგზაურობის ბაზარს აქვს უფრო დიდი ეკონომიკური გავლენა ტურისტულ ინდუსტრიაზე, ვიდრე ოდესმე. ბოლო ორი წლის განმავლობაში (2018-19) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 27 მილიონზე მეტმა მოგზაურმა ჯამში 81 მილიონი ვიზიტი განახორციელა და 58,7 მილიარდი დოლარი დახარჯა საკუთარი მოგზაურობისთვის.²

¹ წყარო: ინკლუზიური ტურიზმი: ეკონომიკური შესაძლებლობები, ძირითადი კონცეფციების და ტერმინების განმარტება, ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, სიდნეის საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინსტიტუტი. 2017-2)

² წყარო: https://opendoorsnfp.org/wp-content/uploads/2020/10/2020-Market-Study-Release_FNL.pdf

ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევის საბოლოო ანგარიშის «ევროპაში ინკლუზიური ტურიზმის ეკონომიკური გავლენა და სამოგზაურო ტენდენციები-2014» თანახმად, ევროკავშირში, ადგილობრივ ღონეზე და წევრ სახელმწიფოებს შორის იმ მოგზაურობების რაოდენობამ, რომლის დროსაც აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობის ან ასაკის გამო უნივერსალურ ღირაინისა და მისაწვდომობის საჭიროება, თითქმის 783 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება ინკლუზიური ტურიზმის ეკონომიკურ კონტრიბუციას „ინკლუზიურ ტურიზმზე მოთხოვნამ, ეკონომიკური უკუგების სახით მოახდინა 786 მილიარდი ევროს ოდენობის ჯამური ეკონომიკური კონტრიბუციის გენერირება ევროკავშირის მასშტაბით, შექმნა 365 მილიარდი ევროს ოდენობის მთლიანი დამატებითი ღირებულება და 394 მილიარდი ევროს ოდენობის მშპ. შედეგად, რეგიონში დასაქმდა 8.7 მილიონი ადამიანი“.³

საერთაშორისო სტანდარტი (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ISO) 21902:2021 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები - ინკლუზიური ტურიზმი ყველასთვის - მოთხოვნები და რეკომენდაციები, რომელიც გამოქვეყნდა 2021-07 ადგენს და უზრუნველყოფს მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს „ინკლუზიური ტურიზმი ყველასათვის“ შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს ნებისმიერი შესაძლებლობისა და ასაკის მქონე პირისთვის ტურიზმზე თანაბარი წვდომა და სარგებლობა. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას პოლიტიკის განსაზღვრის, სტრატეგიის, ინფრასტრუქტურის, პროდუქტებისა და სერვისების ძირითად ასპექტებზე და განკუთვნილია ყველა იმ დაინტერესებული მხარისათვის, რომელიც ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში მონაწილეობს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ვრცელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონეზე.

³ წყარო: https://www.researchgate.net/publication/264522171_Economic_Impact_and_Travel_Patterns_of_Accessible_Tourism_in_Europe_Summary

დოკუმენტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) ძირითადი მოთხოვნები და რეკომენდაციები (ეხება ყველა დაინტერესებულ მხარეს) სერვისების, ინფორმაციის და კომუნიკაციის, ტრენინგებისა და ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებით.

ბ) ცალკეული მოთხოვნები სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის: - პოლიტიკა და სტრატეგიები საჯარო სექტორისთვის; - ტრანსპორტისთვის; - ტურისტული სივრცეებისთვის - კულტურული ტურიზმისთვის; - MICE (შეხვედრები, ტურები, კონფერენციები და გამოფენები) სფეროსთვის; - კვებისა და განთავსების სფეროსთვის; - ტურისტული სერვისებისთვის; - ტურ ოპერატორებისა და ტურისტული სააგენტოებისთვის.⁴

ინკლუზიური ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში დადებით გავლენას იქონიებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ასპექტზე ასევე კონკრეტული რეგიონისა თუ მუნიციპალიტეტის შემოსავლებზე. ამავდროულად ხელს შეუწყობს გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციით გათვალისწინებული რიგი მუხლების იმპლემენტაციასა და შესრულებას.

საქართველოში საკანონმდებლო კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად ინკლუზიური ტურიზმის განვითარების, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობის საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

ინკლუზიური ტურიზმის ცენტრ „პარსას“ მიერ ჩატარებული მისაწვდომობის აუდიტის კვლევების ფარგლებში გამოვლენილ იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა გადაჭრაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისთვის.

⁴ (წყარო: ISO 21902:2021 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები - ინკლუზიური ტურიზმი ყველასთვის - მოთხოვნები და რეკომენდაციები, 2021-07)

ინფრასტრუქტურული გამოწვევები (საზოგადოებრივი სივრცეები)

- უმეტეს შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი ან/და ნაწილობრივ მისაწვდომია მუნიციპალიტეტების ქუჩები, გადასასვლელები, საფეხმავლო ბილიკები, უმეტესად არ არის გათვალისწინებული უსინათლო და მცირემხედველ პირთა საჭიროებები (კონტრასტული ფერის გამაფრთხილებელი ზედაპირები, ხმოვანი შექნიშნები), ბორდიურის პანდუსები და სხვა. არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს;
- ავტოსადგომის სივრცეებში არ არის მოწყობილი მისაწვდომი ავტოსადგომები ან/და არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს;
- საზოგადოებრივ სივრცეებში საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძები არ არის ან/და ნაწილობრივ მისაწვდომია და უმეტესად არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს.
- უმეტეს შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უწყვეტი და უსაფრთხო მისაწვდომი სვლა-გეზი;
- უმეტეს შემთხვევაში არ არის მისაწვდომი ან/და ნაწილობრივ მისაწვდომია მუნიციპალური ტრანსპორტი, სერვისი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- უმეტეს შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უწყვეტი მისაწვდომი სვლა-გეზი, რომელიც მომხმარებელს მიიყვანს სარეკრეაციო ზონაში გათვალისწინებული მომსახურების ობიექტებამდე, როგორც ატრაქციონები, კვების ობიექტები, პირსები, სანაოსნო მომსახურება, სპორტული სივრცეები, საბავშვო სათამაშო მოედნები, გადასახედები და სხვა;
- სარეკრეაციო ზონებში საფეხმავლო ბილიკებისთვის ხშირად გამოყენებულია ისეთი საფარი, რომელზეც რთულია გადაადგილება, როგორც ეტლით მოსარგებლე პირთათვის, ასევე ხანდაზმული პირებისთვის ან მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მყოფი მშობლისთვის;

- უმეტეს შემთხვევაში არ არის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი, სარეკრეაციო ზონაში არსებული სერვისები. მაგალითად ატრაქციონები, საბავშვო სათამაშო მოედნები, კვების ობიექტები, პირსები, სანაოსნო მომსახურებები, სავარჯიშო სივრცეები, სპორტული სივრცეები, საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძები და სხვა;
- უმეტეს შემთხვევაში ნიშანთა სისტემა არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს;
- უმეტეს შემთხვევაში ბანკომეტები, ჩარიცხვისა და გადახდის აპარატები არ არის მისაწვდომი შშმ პირთათვის და არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტურისტული დანიშნულების ობიექტები და შენობა-ნაგებობები

- უმეტესად არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი სივრციდან შენობაში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. უწყვეტი მისაწვდომი სვლა-გეზის უზრუნველყოფის მიმართულებით ძირითად ბარიერებს წარმოადგენენ საფეხურები, ზღურბლები, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამო პანდუსები და სხვა;
- ტურისტული დანიშნულების ობიექტებისა და შენობა-ნაგებობების ინტერიერი უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;
- უმეტესად არ არის უზრუნველყოფილი მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების სანიტარული კვანძები;
- უმეტეს შემთხვევაში ტურისტული დანიშნულების ობიექტების მიერ შეთავაზებული სერვისები არ არის მისაწვდომი შშმ პირთათვის და არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათ-

ვალისწინებულ მოთხოვნებს მაგალითად: აუზი, სპა, სატრენაჟორო თუ გამაჯანსაღებელი სივრცეები და სხვა;

- შენობა-ნაგებობებში განთავსებული ნიშანთა სისტემა უმეტესწილად არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- ტურისტული დანიშნულების ობიექტებთან არსებული შიდა და გარე ავტოსადგომი სივრცეები უმეტესად არ არის მისაწვდომი ან/და ნაწილობრივ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს;
- ტურისტული დანიშნულების ობიექტები და შენობა-ნაგებობები უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებსა და რეგულაციებს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით;
- უმეტეს შემთხვევაში ბანკომეტები, ჩარიცხვისა და გადახდის აპარატები არ არის მისაწვდომი შშმ პირთათვის და არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- ტურისტული დანიშნულების ობიექტებსა და შენობა-ნაგებობებში არ არის უზრუნველყოფილი სხვადასხვა დამხმარე ტექნიკური აღჭურვილობები შშმ პირთათვის მათ შორის ნავიგაციისა და ორიენტაციის სისტემები უსინათლო და მცირემხედველ პირთათვის;

ინფორმაციის მისაწვდომობა

- უმეტეს შემთხვევაში ტურისტული დანიშნულების ობიექტების ვებ-გვერდები არ არის მისაწვდომი უსინათლო და მცირემხედველ პირთათვის და არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტის გაიდლაინით Web Content Accessibility Guidelines (WCAG) გათვალისწინებულ მოთხოვნებს;⁵
- უმეტეს შემთხვევაში საიმიჯო-სარეკლამო და საინფორმაციო ვიდეო რგოლები არ არის ნათარგმნი ქართულ და საერთაშორისო ჟესტურ ენაზე;
- უმეტეს შემთხვევაში ტურისტული დანიშნულების ობიექტებსა და შენობა-ნაგებობებში განთავსებული ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ბრაილის შრიფტით, არ არის ხმოვანი ან/და არა არის გამოყენებული ინფორმაციის მისაწვდომობის სხვა ალტერნატიული ფორმატები.

მომსახურება და პერსონალი

ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული პირებისთვის ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა შემდეგ საკითხებზე:

- ინკლუზიური ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტები
- უნივერსალური დიზაინი და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები
- მისაწვდომი სერვისები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის ეთიკა

⁵ ვებ-კონტენტზე მისაწვდომობის სახელმძღვანელო მითითებები (WCAG) 2.1. <https://www.w3.org/TR/WCAG/>

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) რეკომენდაციები ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით ⁶

ინკლუზიური ტურიზმი განვითარებისთვის საჭიროებს:

- გარემოს, რომელიც აკმაყოფილებს ვიზიტორთა საჭიროებებს და მასპინძლობს მუდმივი ან დროებითი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ოჯახებს მცირეწლოვანი ბავშვებით და ხანდაზმულებს
- უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამის გარემოს, ტურისტულ პროდუქტებსა და სერვისებს, წვდომისა და გამოყენებისთვის
- მკაფიო, მეტად მისაწვდომ და სანდო ინფორმაციას ტურისტული ობიექტების, პროდუქტებისა და სერვისების მისაწვდომობის შესახებ
- შესაბამის ტრენინგებს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის, ყველა დონეზე.

6 წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO), 2016

ინკლუზიური ტურიზმი ყველასათვის მნიშვნელოვანი სარეკომენდაციო ჩამონათვალი:

- ტურიზმის სექტორში მისაწვდომობის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების გამოყენება
- ტურიზმის სექტორში შშმ პირებისთვის დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა
- უნივერსალური დიზაინისა და მდგრადობის პრინციპების გამოყენება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, სივრცეებისა და სერვისების შემუშავების ან განახლების პროცესში
- საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ფუნქციების ჩამოყალიბება ინკლუზიური ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით
- უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა ვიზიტორებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის, ტურისტული ვებ-გვერდების, ჯავშნების სისტემების, ტრანსპორტის, ობიექტებისა და სერვისების მიმართულებით
- ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების კუთხით ინვესტირება, რათა შეიქმნას სრულად მისაწვდომი ტურისტული მიწოდების ჯაჭვები
- ტურიზმში ინოვაციების ხელშეწყობა ხარისხის, უსაფრთხოების და კომფორტის მისაღწევად ყველასთვის მათ შორის შშმ პირებისთვის
- მომხმარებელთა მხარდაჭერა, რათა მათ შეაფასონ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ტურისტული ობიექტები, პროდუქტები და სერვისები მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს
- დაინტერესებული მხარეების ურთიერთ თანამშრომლობა ყველა ტურისტულ პროდუქტსა და სერვისში მისაწვდომობის სტანდარტების ინტეგრირების კუთხით
- შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობა და შეფასების სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინება ინკლუზიური ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

უნივერსალური დიზაინი

უნივერსალური დიზაინი წარმოადგენს საცხოვრებელი, სამუშაო, სასწავლო თუ სხვა გარემოს, პროდუქტებისა და სერვისების ისეთ კონცეფციურ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის სრულ ინკლუზიას და გამორიცხავს ადამიანის რაიმე ნიშნით გარიყვას.

„უნივერსალური დიზაინი“ გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი“ არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.

(გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006 წ.)

არქიტექტურაში, უნივერსალური დიზაინი ქმნის გარემოს, რომელიც თანაბრად პასუხობს თითოეული პირის მოთხოვნებს იქნება ეს ბავშვი, მოზარდი, ხანდაზმული თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ყველასათვის მისაწვდომი (უნივერსალური) სივრცეები მოიცავს როგორც სარეკრეაციო ზონებს, ქუჩასა და ტრანსპორტს, ასევე შენობა-ნაგებობებს, მათ შიდა და გარე სივრცეებს მიუხედავად იმისა თუ რა სერვისის მიმწოდებელია ესა თუ ის ობიექტი (სასწავლო დაწესებულება, სასტუმრო, კვების ობიექტი თუ სხვა).

უნივერსალური დიზაინის კონცეფციით შექმნილი სივრცეები მისაწვდომს ხდის ნებისმიერ მომსახურებას (სერვისს), რაც ხელს უწყობს დისკრიმინაციის აღმოფხვრას და თანასწორობის პრინციპების დანერგვას.

უნივერსალური დიზაინი ეფუძვნება ძირითად 7 პრინციპს⁷ და მოიცავს ფართო მიზნებს⁸. აღნიშნული პრინციპები და მიზნები შემუშავებულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ, როგორებიც არიან არქიტექტორები, პროდუქტის დიზაინერები, ინჟინრები, გარემოს დაცვის მკვლევარები და სხვ.

უნივერსალური დიზაინის პრინციპები



უნივერსალური დიზაინის მიზნები

ბუფალოს უნივერსიტეტის ინკლუზიური დიზაინისა და გარემოს მისაწვდომობის ცენტრის მიერ შემუშავებული უნივერსალური დიზაინის მიზნები განაწვდობს უნივერსალური დიზაინის მნიშვნელობას და განსაზღვრავს მისი გამოყენების შედეგებს, რომლებიც გაზომვადია. უნივერსალური დიზაინის მიზნები მოიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა სოციალური მონაწილეობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. თითოეული მიზანი ემყარება ინტერდისციპლინარულ ცოდნას მაგალითად: ანთროპომეტრია, ბიომექანიკა, აღქმა, შემეცნება, უსაფრთხოება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, სოციალური ინტერაქცია. ამრიგად, მიზნები შეიძლება ეფექტურად იქნას გამო-

⁷ უნივერსალური დიზაინი ვერსია 2.0 - 4/1/97 მოშადაებულია უნივერსალური დიზაინის ადვოკატების კგუფის მიერ: ბეტი როუზ კონელი, მაიკ ჯონსი, რონ მუისი, ჯიმ მიულერი, აბირ მულიკი, ელინ ოსტროფი, ჯონ სანფორდი, ედ სტეინფილდი, მოლი სტორი და გრეგ ვანდერჰილენი. Copyright 1997 NC State University, The Center for Universal Design

⁸ ბუფალოს უნივერსიტეტის ინკლუზიური დიზაინისა და გარემოს მისაწვდომობის ცენტრის მიერ შემუშავებული უნივერსალური დიზაინის 8 მიზანი.

ყენებული, როგორც ცოდნის გაღრმავების ასევე მისი პრაქტიკაში გამოყენებისთვის ყველა დარგში.

**მიზანი 1-სხეულთან
თავსებალობა**

მიესადაგება სხეულის ზომებისა
და შესაძლებლობების ფართო
სპექტრს

მიზანი 2-კომფორტი

მოთხოვნები არ აღემატება
სხეულის ფუნქციისა და აღქმის
სასურველ ლიმიტებს

მიზანი 3 - ცნობიერება

ინფორმაცია არის ადვილად
აღქმადი

მიზანი 4-გაგება და გააზრება

ნებისმიერი პროდუქტის
გამოყენებისა და ოპერირების
მეთოდები არის ინტუიციური,
მკაფიო, მარტივი და
არაორაზროვანი

**მიზანი 5- ჯანდაცვა და
კეთილდღეობა**

ხელს უწყობს ჯანმრთელობას,
დაავადების თავიდან აცილებას და
საფრთხეებისგან დაცვას

**მიზანი 6 -სოციალური
ინტეგრაცია**

ნებისმიერი სოციალური ჯგუფის
მიმართ ღირსეული
დამოკიდებულება და პატივისცემა

მიზანი 7-პერსონალიზაცია

არჩევანისა და ინდივიდუალური
მოთხოვნების გამოსატვის
შესაძლებლობა

**მიზანი 8-კულტურული
განსხვავებულობის მიმდებლობა**

კულტურული ღირებულებების
პატივისცემა. ასევე ნებისმიერი
პროექტისა და დიზაინის
სოციალური, ეკონომიკური და
გარემოსდაცვითი კონტექსტის
გაძლიერება და პატივისცემა

2

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები

2021 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“⁹. მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი ეფუძვნება საერთაშორისო სტანდარტსა „ICC A117.1-2017 Standard for Accessible and Usable Buildings and Facilities“ და უნივერსალურ დიზაინს.

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ძირითადი მიმართულებებია:

- შენობების ბლოკები
- მისაწვდომი სვლაგეზები
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები
- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები
- სპეციალური ოთახები და სივრცეები
- ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები
- სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები
- საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები

თითოეული აღნიშნული თავი შედგება ქვეთავებისგან, რომლებშიც დეტალურად არის განმარტებული თუ რა აუცილებელი მოთხოვნები უნდა იქნას დაცული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

⁹


<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5051805>



მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შერეული გადასასვლელი

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შერეული გადასასვლელი კონტრასტური, შეგრძნებადი გამაფრთხილებელი ზედაპირით





მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი მისაწვდომი ავტოსადგომები

მისაწვდომობის აუდიტის კვლევა წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც ადგენს ინფრასტრუქტურის, სერვისების, ინფორმაციისა თუ არქიტექტურული პროექტების მისაწვდომობის სტანდარტებთან შესაბამისობას.

მისაწვდომობის აუდიტის კვლევა ეფუძნება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს ასევე უნივერსალურ დიზაინის პრინციპებს და მისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც ხელს უწყობს შეცდომების პრევენციას.

მისაწვდომობის აუდიტის კვლევაში ჩართულნი არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: მისაწვდომობის აუდიტის მკვლევარები, უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის სტანდარტებზე მომუშავე არქიტექტორები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები.

აღნიშნული მისაწვდომობის აუდიტის კითხვარების თემატური მიმართულებები შემუშავებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისა და დადგენილება №41 ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ მოთხოვნებისა და დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

მისაწვდომობის აუდიტის კითხვარები შემუშავებულია „ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი - პარსას“ და „უნივერსალური დიზაინის კვლევისა და განათლების საერთაშორისო ინსტიტუტის“-ის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

შენიშვნა: შესაძლებელია განხორციელდეს წინამდებარე კითხვარების მოდიფიცირება, ინფრასტრუქტურული პროექტების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

1. ქუჩის მისაწვდომობის აუდიტის კითხვარი			
1.1 ტროტუარები, საფენმავლო ბილიკები			
1.1.1	უზრუნველყოფს თუ არა ქუჩის სავალი ნაწილი (ტროტუარი, საფენმავლო ბილიკი და სხვ.) უწყვეტ, მისაწვდომ მარშუტს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.1.2	არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას ტროტუარის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ? არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას ტროტუარის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.1.3	თავისუფალია თუ არა ტროტუარის სავალი ნაწილი ისეთი დაბრკოლებებისგან, როგორებიცაა განათების ბოძი, საგზაო ნიშნები, საყვავილე ქოთნები, მოსასვენებელი სკამები, გაჩერების მოსაცდელეები, ნაგვის ურნები და ა.შ? ვიწროვდება თუ არა ტროტუარი ჩამოთვლილი დაბრკოლებების გამო?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2 გადასასვლელები			
1.2.1	მოწყობილია თუ რა ქუჩის გადასასვლელებზე ბორდიურის პანდუსები? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რომელი ტიპის პანდუსია მოწყობილი პერპენდიკულარული პანდუსი, პარალელური პანდუსი თუ შერეული გადასასვლელი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

1.2.2	პერპენდიკულარული და პარალელური ბორდიურის პანდუსის შემთხვევაში არის თუ არა პანდუსის ბაქნის ზომა მინიმუმ 1200X1200-ზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.3	პერპენდიკულარული და პარალელური პანდუსის შემთხვევაში არის თუ არა პანდუსის დახრა მაქსიმუმ 8% (1:12)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.4	არის თუ არა პერპენდიკულარული პანდუსის გვერდითა მართკუთხა სიბრტყეების დახრა არაუმეტეს 10%?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.5	შერეული გადასასვლელის შემთხვევაში არის თუ არა მისი დახრა მაქსიმუმ 1:20 (5%)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.6	არის თუ არა ბორდიურის პანდუსების ზედაპირი მოცურებისგან უსაფრთხო და ნახეთქებისგან თავისუფალი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	
1.2.7	უზრუნველყოფს თუ არა ქუჩაზე არსებული გადასასვლელები უსინათლო და მცირემხედველ პირთა უსაფრთხო გადაადგილებას? დაგებულია თუ არა ბორდიურის პანდუსებზე ამოცნობადი გამაფრთხილებელი ზედაპირები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.8	არის თუ არა ბორდიურის პანდუსზე დაგებული გამაფრთხილებელი ზედაპირები კონტრასტური ფერის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

1.2.9	გრძელდება თუ არა ბორდირის პანდუსზე დაგებული ამოცნობადი გამაფრთხილებლების ზედაპირები მინიმუმ 600-მმ-ით ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის მიმართულებით?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.10	არის თუ არა ამოცნობადი გამაფრთხილებლების ზედაპირების სიგანე ბორდირის პანდუსის ბაქანის სიგანის ტოლი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.11	არის თუ არა ქუჩის გადასასვლელებზე მოწყობილი შუქნიშნები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.2.12	გადასასვლელებზე შუქნიშნების არსებობის შემთხვევაში არის თუ არა შუქნიშანი ხმოვანი უსინათლო და მცირემხედველ პირთათვის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3 მიწისქვეშა გადასასვლელები			
1.3.1	არი თუ არა მიწისქვეშა გადასასვლელში დამონტაჟებული ბაქან-ლიფტი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.2	რჩება თუ არა ბაქან-ლიფტის კარი ღია 20 წმ-ის განმავლობაში?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

1.3.3	<p>იმ შემთხვევაში თუ ბაქან-ლიფტი ერთკარიანია ან/და კარი საპირისპირო მიმართულებით იღება, თავისუფალი ღიობის სიგანე არის თუ არა მინიმუმ 820 მმ? გვერდითა კარის შემთხვევაში არის თუ არა თავისუფალი ღიობის სიგანე მინიმუმ 1000 მმ ?</p> <p>ბაქან ლიფტები და კიბის სკამ-ლიფტები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ საერთაშორისო სტანდარტს: უსაფრთხოების სტანდარტები ბაქან-ლიფტებისა და კიბის სკამ-ლიფტებისთვის: ASME A18.1-2014</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.4	საკონტროლო ღილაკებზე დატანილია თუ არა ბრაილის შრიფტი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.5	მიწისქვეშა გადასასვლელის კიბის დასაწყისსა და ბოლოში დაგებულია თუ არა კონტრასტული ფერის ამოცნობადი გამაფრთხილებელი ზედაპირები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.6	გრძელდება თუ არა ამოცნობადი გამაფრთხილებელი ზედაპირები მინიმუმ 600 მმ-ით ფეხით მოსიარულეთა მიმართულებით?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.7	აქვს თუ არა კიბეს სახელურები ორივე მხარეს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.8	არის თუ არა სახელურების სიმაღლე კიბის წინაპირებიდან 860-1000 მმ-ზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

1.3.9	არის თუ არა სახელურებსა და მომიჯნავე ზედაპირებს შორის მინიმუმ 40 მმ თავისუფალი სივრცე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.10	არის თუ არა ხელმოსაჭიდი ზედაპირები უწყვეტი? (ხომ არ წყვეტს მას კიბის სვეტები ან/და სხვა კონსტრუქციული ელემენტები)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.11	არის თუ არა სახელურების წრიული განივი კვეთის გარე დიამეტრი მინიმუმ 30 მმ და მაქსიმუმ 50 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.12	არაწრიული განივი კვეთის შემთხვევაში მისი პერიმეტრის ზომა არის თუ არა მინიმუმ 10 მმ და მაქსიმუმ 160 მმ ხოლო განივი კვეთის ზომა მაქსიმუმ 57 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.13	არის თუ არა სახელურის ზედაპირი უსაფრთხო, ბასრი და გამოშვერილი ელემენტების გარეშე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.3.14	კიბის თავის მარშთან არის თუ არა სახელური გაგრძელებული მინიმუმ 300 მმ-ით და შებრუნებული კედლისკენ, მოაჯირისკენ ან ბაქნის ზედაპირისკენ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
დაურთეთ სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა			

2. ავტოსადგომები -მისაწვდომობის აუდიტის კითხვარი			
2.1 ავტოსადგომი სივრცეები			
2.1.1	გამოყოფილია თუ არა შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
	ავტოსადგომი სივრცეები სულ	მისაწვდომი ავტოსადგომის სივრცეების აუცილებელი მინიმალური რაოდენობა	
	1-25	1	
	26-50	2	
	51-75	3	
	76-100	4	
	101-150	5	
	151-200	6	
	201-300	7	
	301-400	8	
	401-500	9	
	501-1000	საერთოს 2%	
	1001 და მეტი	20, დამატებული ერთი ყოველ მე-100-ზე ან ნაწილებზე 1000-ის ზემოთ	
2.1.2	არის თუ არა მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი მისაწვდომი სივრცეების სიგანე მინიმუმ 2500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.3	არის თუ არა მიკროავტობუსის გასაჩერებელი მისაწვდომი სივრცეების სიგანე მინიმუმ 3500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

2.1.4	არის თუ არა ავტოსადგომის გასაჩერებელი მისაწვდომი სივრცეები დახაზული კონტრასტული ფერით?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.5	ესაზღვრება თუ არა ავტოსადგომის მისაწვდომი გასაჩერებელი სივრცეები მისაწვდომ გასასვლელებს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.6	ფარავს თუ არა მისაწვდომი გასასვლელი საავტომობილო გზას?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.7	არის თუ არა მისაწვდომი გასასვლელების სიგანე მინიმუმ 1500 მმ ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.8	არის თუ არა მისაწვდომი გასასვლელის სიგრძე მისაწვდომი ავტოსადგომის სიგრძის ტოლი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.9	აღნიშნულია თუ არა მისაწვდომი გასასვლელები კონტრასტული ფერის მარკირებით?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.10	მდებარეობს თუ არა მისაწვდომი გასასვლელი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცის ღონეზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.11	არის თუ არა მისაწვდომი გასასვლელებისა და მისაწვდომი ავტოსადგომის ზედაპირის დახრა არაუმეტეს 1:48 (2%)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.12	<p>არის თუ არა განთავსებული მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოები და წარწერები მაგ: მისაწვდომია მიკროავტობუსისათვის?</p> <p>მდებარეობს თუ არა მსგავსი ნიშნები სივრცის ზედაპირიდან მინიმუმ 1500 მმ სიმაღლეზე?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.1.13	დაგეგმარებულია თუ არა მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასასვლელები ისე, რომ არ ჩახერგოს მომიჯნავედ არსებული მისაწვდომი სვლაგეზისთვის განკუთვნილი აუცილებელი თავისუფალი სიგანე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

2.2 პარალელური ავტოსადგომი სივრცეები			
2.2.1	თუ ტროტუარის სიგანე აღემატება 4300 მმ-ს პარალელურ ავტოსადგომ სივრცესთან მდებარეობს თუ არა ავტოსადგომის სიგრძის და მინიმუმ 1500 მმ სიგანის მისაწვდომი გასასვლელი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.2.2	გადადის თუ არა მისაწვდომი გასასვლელი საავტომობილო გზაზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.2.3	უკავშირდება თუ არა მისაწვდომი გასასვლელი ფეხითმოსიარულეთა მისადგომ გზას?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.2.4	ვიწრო ტროტუარების შემთხვევაში სადაც მისაწვდომი გასასვლელი არ არის მოწყობილი პარალელური ავტოსადგომის სივრცე მდებარეობს თუ არა ქუჩის კიდეებთან ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

2.3 პერპენდიკულარული ან სხვა კუთხით განთავსებული ავტოსადგომი სივრცე			
2.3.1	არის თუ არა პერპენდიკულარული ან სხვა კუთხით განთავსებული მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცის მისაწვდომი გასასვლელის სიგანე მინიმუმ 2500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.3.2	უკავშირდება თუ არა ავტოსადგომის მისაწვდომი გასასვლელი ფეხითმოსიარულეთა მისადგომ გზას?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.3.3	არის თუ არა მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე და მისაწვდომი გასასვლელები კონტრასტული ფერით გამოყოფილი (მარკირებული)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
1.4 ავტოსადგომით სარგებლობისთვის განკუთვნილი გადახდის აპარატები, მოწყობილობები, ეკრანები და პანელები			
2.4.1	ავტოსადგომებზე განთავსებულია თუ არა ავტოსადგომით სარგებლობისთვის განკუთვნილი გადახდის აპარატები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.4.2	მისაწვდომ პარალელურ ავტოსადგომებზე გადახდის აპარატები მდებარეობს თუ არა ავტოსადგომის თავში ან/და ბოლოში?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
2.4.3	მდებარეობს თუ არა მოწყობილობები, ეკრანები და პანელები ხილვად ადგილას? (გადახდის აპარატებთან მდებარე თავისუფალი სივრცის ცენტრიდან მინიმუმ 1000 მმ სიმაღლეზე) ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
დაურთეთ სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა			

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები და მოსაცდელები			
3.1 სატრანსპორტო მისაწვდომი საშუალებები			
3.1.1	არის თუ არა ავტობუსში ასასვლელების და ჩამოსასვლელების ზედაპირები მყარი და მდგრადი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.1.2	არის თუ არა ავტობუსში ასასვლელი და ჩამოსასვლელი ფართობების თავისუფალი სიგრძე საავტომობილო გზის კილიდან პერპენდიკულარულად გაზომვისას მინიმუმ 2500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.1.3	არის თუ არა ავტობუსში ასასვლელი და ჩამოსასვლელი ფართობების თავისუფალი სიგანე საავტომობილო გზის პარალელურად გაზომვისას მინიმუმ 1500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.1.4	არის თუ არა საავტომობილო გზის პერპენდიკულარულად მდებარე ავტობუსის გაჩერებებზე არსებული ასასვლელი და ჩამოსასვლელი ფართობების დაქანება არაუმეტეს 1:48 (2%)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.1.5	არის თუ არა ავტობუსში ასასვლელი და ჩამოსასვლელი ფართობები დაკავშირებული ტროტუარებთან, საფეხმავლო ბილიკებთან და სხვ. უზრუნველყოფილია თუ არა უწყვეტი მისაწვდომი სვლაგეზი (მარშრუტი)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

3.1.6	არის თუ არა ავტობუსის გაჩერების მთელ სიგრძეზე განთავსებული კონტრასტული ფერის ამოცნობადი გამაფრთხილებლები ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.2 მოსაცდელეები			
3.2.1	არის თუ არა მოსაცდელეებში გამოყოფილი თავისუფალი სივრცე ეტლით მოსარგებლე პირთათვის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.2.2	უკავშირდება თუ არა მოსაცდელში არსებული ეტლით მოსარგებლე პირთათვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცე საფენმავლო გზას და ავტობუსში ასასვლელ და ჩამოსასვლელ ფართობს? უზრუნველყოფილია თუ არა უწყვეტი სვლაგეზი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.2.3	არის თუ არა ეტლით მოსარგებლე პირთათვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცის სიგრძე მინიმუმ 1300 მმ ? და სიგანე მინიმუმ 760 მმ ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
3.2.4	არის თუ არა ეტლით მოსარგებლე პირთათვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცე მთლიანად მოქცეული მოსაცდელის საზღვრებში?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

3.3 ავტობუსის გაჩერების ნიშნები და სიმბოლოები			
3.3.1	გამოყენებული ნიშნები და სიმბოლოები არის თუ არა კონტრასტული?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.3.2	საინფორმაციო დაფები განთავსებულია თუ არა თვალსაჩინო ადგილს და არის თუ არა ხმოვანი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.3.3	არის თუ არა გაჩერებებზე განთავსებული საზ. ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულებების ტაქტილური რუქა უსინათლო პირთათვის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.4 სალიანდაგო სატრანსპორტო საშუალებების ბაქნები			
3.4.1	აღემატება თუ არა სალიანდაგო სატრანსპორტო საშუალებების ბაქნების დაქანება ყველა მიმართულებით 1:48-ს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.4.2	განთავსებულია თუ არა ამოცნობადი გამაფრთხილებელი ზედაპირები ბაქნის მთელს სიგრძეზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.4.3	არის თუ არა ამოცნობადი გამაფრთხილებელი ზედაპირების სიღრმე მინიმუმ 600 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:

3.5 სალიანდაგო სატრანსპორტო საშუალებების სადგურის ნიშნები			
3.5.1	სადგურებში განთავსებულია თუ არა შესაბამისი კონტრასტული ფერის ნიშნები და სიმბოლოები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.5.2	წარწერებთან და სიმბოლოებთან ერთად განთავსებულია თუ არა ბრაილის შრიფტით იგივე შინაარსის წარწერები?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.5.3	ნიშნები და სიმბოლოები განთავსებულია თუ არა იატაკის დონიდან 1200 მმ სიმაღლეზე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.5.4	არის თუ არა სადგურებში გაჩერებებისა და მარშრუტების ჩამონათვალის დაფა ბრაილის შრიფტით ან/და ტაქტილური რუქა უსინათლო და მცირემხედველ პირთათვის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.5.5	საინფორმაციო დაფები განთავსებულია თუ არა მჯდომარე ან ფეხზემდგომი მგზავრის ხედვის არეში? არის თუ არა ხმოვანი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
3.5.6	არის თუ არა მოძრავი კიბის თავისუფალი სიგანე მინიმუმ 820 მმ? ესკალატორები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საერთაშორისო სტანდარტს: უსაფრთხოების კოდექსი ლიფტებისა და ესკალატორებისთვის ASME A17.1-2013/CSA B44-16.	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
დაურთეთ სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა			

1. სარეკრეაციო ზონები			
4.1 საფენმავლო ბილიკები და გზები			
4.1.1	უზრუნველყოფს თუ არა საფენმავლო ბილიკები უწყვეტ სვლაგეზს (მარშრუტს)?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
4.1.2	არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას საფენმავლო ბილიკის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ? არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას საფენმავლო ბილიკის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
4.1.3	თავისუფალია თუ არა ფენითმოსიარულეთა სავალი ნაწილი ისეთი დაბრკოლებებისგან, როგორებიცაა განათების ბოძი, საგზაო ნიშნები, საყვავილე ქოთნები, მოსასვენებელი სკამები, გაჩერების მოსაცდელეები, ნაგვის ურნები და ა.შ? ვიწროვდება თუ არა ტროტუარი ჩამოთვლილი დაბრკოლებების გამო?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:
1.			
4.2 სპორტული აქტივობების ფართობები			
4.2.1	უზრუნველყოფილია თუ არა სპორტული აქტივობების ფართობამდე მისასვლელი უწყვეტი სვლა/გეზი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით მისაწვდომობის სამუშაოებს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიას ▪ არა 	შენიშვნა:

4.2.2	<p>არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას საფენმავლო ბილიკის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ?</p> <p>არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას საფენმავლო ბილიკის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.2.3	<p>არის თუ არა სავარჯიშო მოედნების იატაკის თავისუფალი სივრცე იმდაგვარად მოწყობილი რომ ეტლით მოსარგებლე პირმა შეძლოს სავარჯიშო მოწყობილობების თავისუფლად მიდგომა, გადაჯდომა და გამოყენება?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3 ატრაქციონები			
4.3.1	<p>არის თუ არა ატრაქციონებამდე მისასვლელი სვლა გეზი უწყვეტი, დაბრკოლებების გარეშე?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.2	<p>არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას ატრაქციონამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ?</p> <p>არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას ატრაქციონამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.3.3	არის თუ არა ატრაქციონთან ასვლისა და ჩამოსვლის ადგილებში უზრუნველყოფილი მინიმუმ 1700 მმ -ის მოსატრიალებელი სივრცე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.4	არის თუ არა ატრაქციონზე ეტლისთვის გამოყოფილი სივრცე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.5	არის თუ არა ატრაქციონზე ეტლისთვის გამოყოფილი სივრცის იატაკის ზედაპირი მყარი და მდგრადი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.6	არის თუ არა ატრაქციონზე ეტლისთვის გამოყოფილი სივრცის იატაკის ზედაპირის დაქანება მაქსიმუმ 1:48 მგზავრთა ასვლისა და ჩამოსვლის მომენტში?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.7	ეტლით მოსარგებლე პირთათვის განკუთვნილი ადგილებისა და მგზავრთა ასვლისა და ჩამოსვლის ადგილების იატაკების კოორდინაცია არის თუ არა იმგვარად მოწყობილი, რომ გაჩერებულ პოზიციაში ყოფნისას იატაკებს შორის შვეული (ვერტიკალური) დამორება არ აღემატება 16 მმ-ს, ხოლო თარაზული (ჰორიზონტალური) დამორება კი 75 მმ-ს?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.8	არის თუ არა ეტლით მოსარგებლე პირთათვის გამოყოფილი ადგილის სიგრძე მინიმუმ 1200 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.3.9	არის თუ არა ეტლით მოსარგებლე პირთათვის გამოყოფილი ადგილის სიგანე 760 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.10	იმ შემთხვევაში თუ ატრაქციონზე შესვლა ხდება გვერდიდან არის თუ არა საკმარისი სივრცე გამოყოფილი მანევრირებისათვის?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.11	არის თუ არა ატრაქციონის შესასვლელის თავისუფალი სიგანე მინიმუმ 820 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.12	არის თუ არა ატრაქციონზე გამოყოფილი სივრცე თანხმლები პირისთვის იმ შემთხვევაში თუ ატრაქციონის შიდა სივრცე ერთზე მეტ ადამიანისთვისაა გათვალისწინებული და სიგანე 1350 მმ-ზე მეტია?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.13	არის თუ არა თანხმლები პირის ადგილი განთავსებული ეტლით მოსარგებლე პირის ადგილის მომიჯნავედ იმ შემთხვევაში როდესაც ატრაქციონის დასაჯდომები გვერდიგვერდაა განლაგებული?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.14	არის თუ არა ატრაქციონზე მგზავრთა აყვანისა და ჩამოყვანის დროს ატრაქციონიდან გადსაჯდომი მოწყობილობებისა და შესაბამისი დასაჯდომების მომიჯნავედ არსებული სივრცე თავისუფალი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.3.15	<p>არის თუ არა გადასაჯდომი მოწყობილობის სიმაღლე მინიმუმ 350 მმ და მაქსიმუმ 600 მმ მგზავრთა აყვანისა და ჩამოყვანის ადგილის ზედაპირიდან?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.16	<p>უზრუნველყოფილია თუ არა ატრაქციონის დასაჯდომებზე გადაყვანის დროს შესასვლელებში საკმარისი თავისუფალი სივრცე თანმხლები პირის დაუბრკოლებლად შესვლისთვის?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.3.17	<p>გამოყოფილია თუ არა ადგილი ეტლის შენახვისთვის?</p> <p>ეტლის შესანახი ადგილები გამოყოფილია თუ არა ატრაქციონის თითოეული გადასაჯდომის მომიჯნავედ ხალხის აყვანისა და ჩამოყვანის ადგილებში ისე რომ ხალხის მოძრაობას არ შეუშალოს ხელი?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.3.18	<p>საჯარო გამოყენების ბავშვთა სათამაშო მოედნებზე მოწყობილობების უსაფრთხოება აკმაყოფილებს თუ არა საერთაშორისო სტანდარტს - ASTM F 1487-01.</p> <p>ბავშვთა სათამაშო მოედნებზე გამოყენებული საფარი მასალა აკმაყოფილებს თუ არა შემდეგ საერთაშორისო სტანდარტს „ბავშვთა სათამაშო მოედნებზე საფარი მასალის სტანდარტული მახასიათებლები ტრავმების ასაცილებლად - ASTM F 1292“.</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.4 სარეკრეაციო სანაოსნო მისაწვდომი საშუალებები			
4.4.1	არის თუ არა უზრუნველყოფილი უწყვეტი მისაწვდომი სვლა/გეზი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.4.2	<p>არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას ატრაგციონამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ?</p> <p>არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას ატრაქციონამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.4.3	არის თუ არა ნავსაყუდელთან მისასვლელი გზა მისაწვდომი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.4.4	არის თუ არა უზრუნველყოფილი მისაწვდომი სვლაგეზი ნავებში ჩასხდომის ადგილებამდე?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.4.5	ნავში ჩასხდომის ზონებში არის თუ არა პირსის სიგანე მინიმუმ 1500 მმ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.4.6	არის თუ არა უზრუნველყოფილი მინიმუმ ერთი 1500 მმ სიგანის შესასვლელი მთელ სიგრძეზე თითოეული 3000 მმ მონაკვეთის ნავების შესაყუდებლის ან ჩასხდომის ადგილებში?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5 სათევზაო პირსები და ბაქნები			
4.5.1	არის თუ არა უზრუნველყოფილი უწყვეტი მისაწვდომი სვლაგეზი?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.5.2	<p>არის თუ არა ცალმხრივი მოძრაობისას სათევზაო პირსებამდე და ბაქნებამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 1200 მმ ?</p> <p>არის თუ არა ორმხრივი მოძრაობისას სათევზაო პირსებამდე და ბაქნებამდე მისასვლელი გზის ზედაპირის სიგანე მინიმუმ 2400 მმ?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.3	<p>არის თუ არა სათევზაო პირსების და ბაქნების დამცავი ჯებირების და მოაჯირების მინიმუმ 25% -ის სიმაღლე 860 მმ სასიარულო ზედაპირიდან?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.4	<p>იქ სადაც მოწყობილია მოაჯირები და ჯებირები არის თუ არა უზრუნველყოფილი კიდეების დაცვა?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.5	<p>არის თუ არა ბორდიურებისა და ბარიერების სიმაღლე მინიმუმ 50 მმ პირსის ან ბაქნის ზედაპირიდან ?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.6	<p>სათევზაო პირსებისა და ბაქნების მოაჯირებთან არის თუ არა უზრუნველყოფილი თავისუფალი სივრცე ეტილით მოსარგებლე პირთათვის?</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:

4.5.7	უზრუნველყოფილია თუ არა სათევზაო პირსებსა და ბაქნებზე მინიმუმ 1700 მმ მოსატრიალებელი სივრცე ?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.8	შესაძლებელია თუ არა გრუნტის ან პირსის ზედაპირის გაფართოება მინიმუმ 300მმ-ით მოაჯირის შილა მხრიდან	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
4.5.9	გამოყოფილია თუ არა სივრცე ფეხის ფალანგისთვის შემდეგი ზემებით: მინიმუმ 760 მმ სიგანე და მინიმუმ 230 მმ სიმაღლე გრუნტიდან ან პირსის ზედაპირიდან?	<ul style="list-style-type: none"> ▪ დიახ ▪ არა 	შენიშვნა:
დაურთეთ სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა			

ბიბლიოგრაფია

- **Inclusive Recovery Guide – Sociocultural Impacts of Covid-19, Issue I: Persons with Disabilities, (2020) World Tourism Organization (UNWTO)**
- **Reopening tourism for travellers with disabilities: how to provide safety without imposing unnecessary obstacles, (2020) World Tourism Organization (UNWTO)**
- **Accessibility and Inclusive Tourism Development in Nature Areas – Compendium of Best Practices, (2021) World Tourism Organization (UNWTO)**
- **UNWTO Recommendations on Accessible Information in Tourism (2016) World Tourism Organization (UNWTO)**
- **Buhalis, D., Darcy, S., (2011), Accessible Tourism (Aspects of Tourism Book 45), Channel View Publications**
- **Buhalis, D., Darcy, S., Ambrose, I., (2012), Best Practice in Accessible Tourism (Aspects of Tourism Book 53), Channel View Publications**
- **ISO 21902:2021 Tourism and related services - Accessible tourism for all - Requirements and recommendations, (2021-07) Technical Committee : ISO (the International Organization for Standardization) ISO/TC 228 Tourism and related services**
- **Market Study on Adult Travelers with Disabilities, (2020) Open Doors Organization**
- **Economic impact and travel patterns of accessible tourism in Europe final report summary (2014) study commissioned by the European Commission, DG Enterprise and Industry, Service Contract S12.ACPROCE052481700 European Commission, DG Enterprise and Industry**

- **THE PRINCIPLES OF UNIVERSAL DESIGN Version 2.0 - 4/1/97** Compiled by advocates of universal design, listed in alphabetical order: Bettye Rose Connell, Mike Jones, Ron Mace, Jim Mueller, Abir Mullick, Elaine Ostroff, Jon Sanford, Ed Steinfeld, Molly Story, and Gregg Vanderheiden (1997) NC State University, The Center for Universal Design
- **The 8 Goals of Universal Design (2012)** The Center for Inclusive Design and Environmental Access at the University at Buffalo

საკონტაქტო ინფორმაცია

Inclusive Tourism Center Parsa-ITCP Member/ Contact Point Organization of European Network of Accessible Tourism- ENAT

International Institute of Universal Design Research and Education.



Address: #68 D. Uznadze Str. Tbilisi 0102 Georgia



(+995) 577464625



itcp.info@gmail.com
info@inclusivetourism.ge
atcpge@gmail.com



<http://www.inclusivetourism.ge>
<http://www.inclusivetourism.com.ge>
<http://www.udc.ge>

IMPLEMENTING INCLUSIVE TOURISM, NATIONAL STANDARDS OF ACCESSIBILITY AND UNIVERSAL DESIGN IN GEORGIA



Sweden/შვედეთი

Sverige

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK
DANIDA INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ბუნების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCCE)

ITCP
ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი პარსა
INCLUSIVE TOURISM CENTER PARSA

IUDRE
INTERNATIONAL INSTITUTE OF UNIVERSAL
DESIGN RESEARCH AND EDUCATION

Guideline for implementing Inclusive Tourism, National Standards of Accessibility and Universal Design in Georgia



Table of Content

INTRODUCTION	4
ABOUT AUTHORS	5
